საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 179 ხუთშაბათი, თებერვლის 23 (8) 1918 წ. № 179

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

საზავო დელეგაცია გუშინ გაემგზავრა ტრაპიზონს: ჩვენი პარტიის მხრით წავიდნენ დელეგატად გ. ლასხიშვილი, და ექსპერტად ი. ციციშვილი.—ევლახში მშვიდობიან მცხოვრებლებს თავს დაეცნენ ჯარისკაცები და გაანადგურეს.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 30×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნაფუძვა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელთნაწერილი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის აგრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061 საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია. ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს: ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

დედა მართა დარისპანის ასული, ძმა ივანე ვლადიმერის ძე, და ოლღა ვლადიმერის ასული, რძალი ელენა დავითის ასული და დეიდა ელენტია დარისპანის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს ამა 24 თებერვალს იქნება გადახდილი კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაზე წლის წირვა და პანაშვიდი ძ ი ფ ს და [illegible] მათ ტფილისის მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფის [illegible]

გიორგი ვლადიმერის ძის ალავიძის

დასაწყისი პანაშვიდის შუადღის 11 ნახ. საათზე. 236

ქართ. დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 37

დილის წარმოდგენა.

კვირას 25 თებერვალს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შ. დადიანის მონაწილეობით

## სამშობლო

5 მოქ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., იმერელი ა., ვაჟნი: ბარველი ვ., გვარამძე ნ., დადიანი შ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., ციციშვილი კ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. 107 რეჟ. ვ. ბარველი.

ქართ. დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 38

ორშაბათს 26 თებერვალს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ალლუმი

4 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., იმერელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ვაჟნი: აბაშიძე ვ., გუნია ვ., გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა. იშხნელი გ., კობახიძე ი., ქავთ ძე ი., მაჭარაძე ვ., შალიკაშვილი ვ. ციციშვილი კ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. 1071 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.



## დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 10—00.

დღეს, 23 თებერვალს გაიმართება

რომაული საგლადიატორო წარმოდგენა

ყველა არტისტის მონაწილეობით: მონაწილეობენ ვლადიმიროვი, კლოუნები ძმ. იონაშები, მოცეკვავენი ბონ-ბონ და ბოდი, როლანდი და [illegible]. ბრძოლა 5 წყვილი: 1. ხუდერალი და საარელა, 2. შავი ნიღაბი და ჩერკეზი, 3. მაღრაძელიძე და ორლიონოვი, 4. დობროვია და ჟურა [illegible], 5. ხუდერალი როლანდი და რააგო.

**ანონსი:** მოდის ეგვიპტელი. ის მეფეა ყველა ფენომენისა, არ არის პროსა ქვეყანაზე, რომელიც ალიზე არ ალაპარაკებულიყოს. 237

## პური და ნავთი

22 თებერვლიდან საუბნო საბარათო ბიუროებში

## პურის და ნავთის

ბარათების დარიგება უკვე დაიწყეს.

### პირველ რიგში ბარათები

### მიეცემა სახლის კომიტეტებს,

რომელთაც ბარათების მისაღებად საუბნო ბიუროში უნდა წარმოადგინონ სასურსათო ბარათები სახლის მცხოვრებთა სია მათი გვარებით და სასურსათო ბარათის ნომრებით.

პურის (მარტის) და ნავთის ბარათები კერძო მოქალაქეებს მიეცემა სასურსათო ბარათის წარდგენით.

საბარათო განყოფილებასთან არამომცემი პურის მიღება კოლექტიურ ბარათებს აძლევს საზოგადოებებს, ინტერნატებს და სხვა ამგვარ დაწესებულებებს.

ქალაქის თვითმართველობის საბარათო ბიურო.

1918 წ. 21 თებერვალი. 1084

## საუბნო კომიტეტის წესდება

1) მთელი უბნის (კვარტალის) სახლის კომიტეტების წევრები ირჩევენ სამი პირისაგან შემდგარს საუბნო კომიტეტს (თავმჯდომარე, მდივანი და წევრი) და სარევიზიო კომისიას, აგრეთვე 3 პირისაგან შემდგარს.

**შენიშვნა:** საუბნო კომიტეტის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქმნას ხუთამდე კომიტეტების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით და არსებულ პირების მიხედვით.

2) საუბნო კომიტეტს ევალება სახლის კომიტეტის მოქმედების მოწესრიგება და უკანასკნელთა წარმომადგენლობის მოწყობა მთავრობის საზოგადო და კერძო სასურსათო ორგანიზაციების წინაშე ყველა იმ საკითხის გამო, რომელიც სახლის კომიტეტების მოღვაწეობას ეხება.

3) სურსათის განაწილება უბანში საუბნო კომიტეტს ევალება რის გამოც საუბნო კომიტეტი:

ა) ხსნის განმანაწილებელ პუნქტებს.

ბ) ნაღდი ფულით ყიდულობს უბნისათვის საჭირო სურსათს კოოპერატივებში, საუბნო და საქალაქო დუქნებში, უნაწილებს მას სახლის კომიტეტს და ნაყიდ საქონელში ტალონებს აძლევს დუქნის გამგეს. ის სურსათი, რომელსაც სპეციალური ტალონი არა აქვს ნაწილდება სასურსათო ბარათის მიხედვით იმ პირობით, რომ ბარათზე ეს აღინიშნოს.

გ) გასაცემ სურსათის რაოდენობის გამოსარკვევად საუბნო კომიტეტი ვალდებულია ყოველთვის წარუდგინოს საქალაქო ან საკოოპერატივო დუქნის გამგეს უბნის მცხოვრებთა სია.

დ) პურის მიღების გასაადვილებლად საუბნო კომიტეტს შეუძლიან იმ ფურნეებიდან მიიღოს პური, რომელსაც სახლის კომიტეტი უჩვენებს, და არიგოს [illegible] თავის განმანაწილებელ პუნქტიდან.

4) საუბნო კომიტეტს ევალება იმ [illegible] საკითხების [illegible], რომელთაც სახლის კომიტეტები [illegible].

5) სასურსათო საქმეების გარდა საუბნო კომიტეტი [illegible] უბნის [illegible] თავის [illegible].

და ამისათვის რიგრიგობით იწვევს თავის უბნის მცხოვრებლებს, თვალყურს ადევნებს აგრეთვე თავისი უბნის სანიტარულ მდგომარეობას.

6) საუბნო კომიტეტის საქმეებს განაგებს ა) საზოგადო კრება, ბ) საუბნო კომიტეტი.

7) აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და სახლის კომიტეტებთან დაკავშირებულ საკითხების გადასაჭრელად თვეში ერთხელ იმართება ამ უბნის სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრება.

8) იმ ადგილებში, რომელიც თხლად არის დასახლებული და ამის გამო შეუძლებელია ცალკე სახლის კომიტეტების დაარსება, შეიძლება პირდაპირ საუბნო კომიტეტში შეერთდნენ: ამ შემთხვევაში საუბნო კომიტეტს ამ უბნის ყველა მცხოვრებნი ირჩევს.

9) საუბნო კომიტეტის არსებობისათვის საჭირო სახსრის გამოძებნა სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრებას ევალება.

### როგორ უნდა მოეწყოს საუბნო კომიტეტები.

სახლის კომიტეტების მოქმედების უკეთესად წარმოებისათვის არსდება განსაკუთრებით საუბნო კომიტეტები.

2 ან 3 სახლის კომიტეტის წევრები (ინიციატორთა ჯგუფი) იწვევს სახლის კომიტეტების წევრთა საზოგადო კრებას, რომელიც ირჩევს საუბნო კომიტეტის წევრებს და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საუბნო კომიტეტს ირჩევს ან ღია არჩევნებით ან ფარულად [illegible] კრების დადგენილებით. [illegible] რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს აუცილებელია ამ უბნის სახლის კომიტეტების 2 ან 3 წევრის [illegible].

თუ პირველი კრება არ შედგება, [illegible] ხელმეორედ [illegible] კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც წევრიც არ [illegible].

[illegible] აქვს [illegible] უნდა [illegible] უბნის [illegible].

1082 ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება.

## 6 ქართული პოლკი

ამით აცხადებს, რომ ის ოფიცრები, რომლებიც ჩარიცხული არიან პოლკში და არ გამოცხადებულან ჯერ, თუ პირველ მარტამდე არ გამოცხადნენ, წარდგენილი იქნებიან პოლკიდან ამოსარიცხავად. 1079

## ნ. ბარათაშვილის ლექსების და წერილების

აკადემიური დასურათებული გამოცემა დღევანდელი საყოველთაო არეულდარეულობის გამო დროებით შეჩერებულია. შეუძლებელი გახდა დაბეჭდვა ლი მუშაობა. ყველაფრის ფასი უზომოდ გაიზარდა. ამიტომ საგამომცემლო კომისიამ საუკეთესოდ დაინახა, გადადვას წიგნის დაბეჭდვა ზავისთვის დამლევამდე. თუ იმ დროისთვის ცხოვრება არ ჩადგა ასე თუ ისე წესიერ კალაპოტში, მაშინ კომისია ცალკე განცხადებით აუწყებს ხელისმომწერთ, ვისაც სურს უკან წაიღოს გადახდილი ფული და ვისაც სურს დასტოვოს ვიდრე შესაძლებელი შეიქნებოდეს წიგნის გამოცემა.

კომისიას შეძენილი აქვს ქაღალდი და სხვა და სხვა მასალები, ბარათაშვილის თხზულებას აუცილებლად გამოსცემს, როგორც კი გარემოება ამის ნებას მისცემს.

## „ახალი საკრებულოს"

(ყოფილი ხართუხის კლუბი) მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს წევრთ და კანდიდატებს, რომ თანახმად ამავე საბჭოს დადგენილებისა,

### უკანასკნელი ვადა საწევრო ფულის გადახდისა დანიშნულია 1-ლი მარტი.

ვინც ამ დროისათვის არ შემოიტანს ხვედრ საწევრო ფულს, ის წესდების მე-11 მუხლის ძალით წევრად ან კანდიდატად აღარ ჩაითვლება ჯარიმის გადაუხდელად. 1083

**ტფილისი, 23 თებერვალი 1918 წ.**

**საზავო მოლაპარაკება და საშიშრო მზადება.**

ერთხანად მოლაპარაკება ოსმალეთსა და ამიერკავკასიის მთავრობის შორის შესწყდა. ამ ხნის განმავლობაში დეპეშამ საზარელი ამბავი მოიტანა—ბოლშევიკების მთავრობამ ბათომისა და ყარსის ოლქები ოსმალეთს გადასცა. როგორ და რანაირ პირობებში მოჰხდა ამ ხელ-შეკრულების დადება, ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩებოდა. რადგანაც ამ ხელშეკრულების დადებას თან მოჰყვა დროებითი შეჩერება მოლაპარაკებისა ოსმალეთსა და ამიერკავკასიის მთავრობის შორის, ჩვენში დაიბადა სრულიად ბუნებრივი შიში, ვაი თუ ოსმალეთმა ბოლშევიკებთან ზავის შეკვრით ჩვენთან საქმე გათავებულად ჩასთვალოსო. ამ შიშმა ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს ყველა წრეებში. ბათომის დაკარგვას-ვერც ერთი ქართველი ვერ შეურიგდება და ამიტომ მოუთმენლად ელოდა, რითი გათავდებოდა საქმე—საჭირო გახდებოდა ბრძოლა ბათომის დასაცავად, თუ საზავო მოლაპარაკება გაგრძელდებოდა. ამიერკავკასიის კომისარიატმა აცნობა ყველა სახელმწიფოს მთავრობას და მათ შორის ოსმალეთის მთავრობასაც, ბოლშევიკების მიერ დადებული ხელ-შეკრულება ამიერკავკასიისთვის სავალდებულო არ არის და ამ დეპეშას შედეგად მოჰყვა საზავო მოლაპარაკების განახლება ოსმალეთსა და ამიერკავკასიის მთავრობის შორის.

საზავო მოლაპარაკების განახლება ჯერ კიდევ არა ნიშნავს იმის გათავებას. საპატიო ზავის ჩამოდება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, მაშინ რაც ანგარიშს მხოლოდ მაშინ გაგვიწევს, როდესაც თვით ხალხი გამოიჩენს სურვილს თავის დაცვისას, როდესაც ყველას ეცოდინება, რომ საქართველო უბრძოლველად თავის მიწა-წყალს არავის დაუთმობს. ამ ძალას კი შექმნა უნდა [illegible] მაგალითმა საკმაოდ დაგვიმტკიცა, რომ ერს, რომელიც უარს ამბობს თავის დაცვაზე, ერს, რომელიც თავის საკუთარ მიწა-წყალს თვითონ ანადგურებს, არავინ პატივს არა სცემს და მასხარადაც იგდებს. ამიტომ თუ გვინდა საზავო მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს, მთელი ქართველი ერი უნდა აღსდგეს, ოგორც ერთი კაცი და თავისი წრფელი სურვილით სამშობლოს დაცვისა ზურგი გაუმაგროს იმ საზავო დელეგაციას, რომელიც ტრაპიზონს გაემგზავრა.

## ქართული პრესა

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა" ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს ეხება და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„მაგრამ რა შუაშია აქ პროგრამა, რა შეაში ანია სოციალ-დემოკრატობა? ჩვენი პროგრამა აუცილებლად გულისხმობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ის ნებას აძლევს ყველა ერს საკუთარი გემოვნებით მოაწყოს თავისი საქმეები. პროგრამით ერი უნდა ეცმა წავა, უნდა დაიღოს, უნდა რომელიმე მეზობელს შეუერთ-

შირდება, უნდა სულ ცალკე დამოუკიდებლად მოეწყობა".

ძალიან კარგი! ვეცადოთ, რომ ერი „ალმა" წავიდეს და არა „დალმა".

* * *

იგივე გაზეთი კვლავ იმეორებს, სოც. ფედერალისტები საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვენო. თუ დაგვიჯერებთ, მოქალაქენო, არ არის ეს მართალი. ჩვენ მუდამ იმასა ვთხოულობდით და ეხლაც იმასა ვთხოულობთ, რაც სეიმში განაცხადა ამხ. გ. ლასხიშვილმა და, რასაც, სხვათა შორის, მხარი დაუჭირა სოციალდემოკრატების ფრაქციამ — ჩვენ ვთხოულობთ ეროვნულ-ტერიტორიალურ პარლამენტების შექმნას და მათ კავშირს, რომელიც ფედერალური საბჭოს შექმნაში უნდა გამოიხატოს.

# ნ ოკვევი

კავკასიის ცენტრის ორგანოს „ნაშ ვეკ"-ს ჩვენი გაზეთიდან გადაუბეჭდია მეთაური წერილის ნაწილი სეიმის შესახებ და რაღაცა მოსაზრებით ან სრული გაუგებრობით ფედერალური საბჭო ფედერალურ საბჭოებად გადაუქცევია. ამის შემდეგ გაზეთი გაკვირვებული კითხულობს:

„რად უნდა დაუთმოს სეიმმა თავისი ძალა ფედერალურ საბჭოებს? რომელმა ორგანომ უნდა გააერთიანოს მრავალ-ერიანი ამიერკავკასია?

ნუ თუ დასაჯერებელია, რომ კავკასიის ცენტრის ორგანოს სულ უბრალო პოლიტიკური ტერმინების გაგებაც არა აქვ? მრავალ-ერიანი ამიერკავკასია უნდა გააერთიანოს სწორედ ფედერალურმა საბჭომ და არა საბჭოებმა, როგორც გაზეთი სწერს. ფედერალური საბჭო ერთი იქნება, ეროვნულ ტერიტორიალური პარლამენტი კი იმდენი, რამდენი ერიც შევა ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკაში.

# მეორე რევოლიუცია

### დატუსაღებულთა განთავისუფლება

განათავისუფლეს ბოლშევიკების მიერ დატუსაღებული პირები, გაზეთ „ვოლია ნაროდის" თანამშრომლები ივანჩენკო, ვ. ჩერნოვი და ივ. სოროკინი; აგრეთვე „დენის" თანამშრომლები დრაბკინი, კამუშევი და კოტე ნელსონი, წითელ ჯვრის სამართველოს გამგე ჩამონსკი და ყოფილი „გრადონაჩალნიკი" პეტროგრადისა ობელინსკი.

**ქაღალდის ფულის დაბეჭდვა.**

„რუსკაია ვედომოსტის" სახელო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ავსტრიის მთავრობამ თავის მხრით დახმარება აღუთქვა ბოლშევიკებს ქაღალდის ფულის დამზადებაში. ის პირდება რომ გადასცემს საბჭოს განკარგულებაში საბეჭდავ მანქანებს და საჭირო ქაღალდს იმისთვის, რომ ავსტრიაში დაიბეჭდოს რუსული ფული სახ. კომისარების წარმომადგენელთა მეთვალყურეობით.

**საიდუმლო ფოსტამტი.**

პეტროგრადში ბოლშევიკებმა საიდუმლო ფოსტამტი აღმოაჩინეს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგეთა მიერ იყო მოწყობილი. პეტროგრადსა და სამხრეთს შორის წესიერი მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ამის გამო რამდენიმე ოფიცერი და ჯარის-კაცი დაატუსაღეს.

**ვერხოვსკი,**

როგორც მკითხველებმა იციან, ყოფილი სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი ბოლშევიკებმა დაატუსაღეს, დატუსაღების დროს მან სცადა წინააღმდეგობის გაწევა. ჯიბეში ნაგანი და ბრაუნინგი აღმოაჩნდა. ბოლშევიკები ბრალს სდებენ ვერხოვსკი საბჭოთა მთავრობასთან საბრძოლველად ძალების შეკრებაში.

**საქართველოს ყოფილი ეგზარხოსის მოკვლა.**

კიევში მოჰკლეს მიტროპოლიტი ვლადიმირი, საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი.

**უმუშევრობა ოდესაში.**

ოდესაში 20 ათას უმუშევართა კავშირმა მოსთხოვა ქალაქის თვითმართველობას 10 მილიონი მანეთი.

**შავი ზღვის ფლოტი.**

შავი ზღვის ფლოტი უნუგეშო მდგომარეობაში რჩება. მეზღვაურები მასიურად გარბიან და ამის გამო ფლოტის მდგომარეობა გამოურკვეველია.

**ყოფილი მინისტრები.**

ბოლშევიკები ფარავენ, თუ სად იმყოფებიან დატუსაღებულნი ყოფილი მინისტრები კონოვალოვი, ტრეტიაკოვი, კარტაშოვი და სმირნოვი. რომ დესაც ისინი ავად გახდნენ, გამოიყვანეს საავადმყოფოდან და საიდუმლო ადგილას ჯდამალეს.

# ახალი ამბავი

✦ **საზავო დელეგაცია გაემგზავრა** ტრაპიზონს გუშინ, 2 საათზე. ჩვენი პარტიის მხრით წავიდნენ დელეგატად ამხ. გ. ლასხიშვილი, ექსპერტად ამხ. ი. ყიფშიძე.

✦ **ბორჩალოს მაზრის** სამიტროპოლიტო საქმეს რწმუნებულმა მღვდ. კონსტანტინე კეკელიძემ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წერილობით მოახსენა, რომ მრავალმილიონად ღირებული ქონება ქართულ ეკლესიისა, სახელდობრ „მცირე ურუთის" ქარხანა, ტყე და დამზადებული მასალა უპატრონოდაა მიტოვებული და ნაწილ-ნაწილად იტაცებენ ბოროტგამზრახველნი. კეკელიძე სთხოვს ეროვნულ საბჭოს მიიღოს რამე ზომები ქონების დასაცავად. ხსენებული მოხსენება გადაეცა ეროვნულ საბჭოს სამეურნეო სექციას შესაფერი ზომების მისაღებად.

✦ **ეროვნული მიტინგი.** გუშინ, 22 თებერვალს, ქართულ ეროვნულ საბჭოს ინიციატივით ქართულ კლუბის საზაფხულო ბაღში გაიმართა დიდი მიტინგი. პირველად მივიდა სოც.-ფედ. შეიარაღებული რაზმი ეროვნული სიმღერებითა და დროშებით, შემდეგ მეორე საარტ. ბრიგადის 3 ბატარეა. მიტინგი გახსნა ეროვნული საბჭოს სახელით პ. საყვარელიძემ. ქართველი ერის განწირულ მდგომარეობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ს.-დ. ისიდორე რამიშვილმა, ნ. დ. ვ. წერეთელმა, ს. ფ. არ. ჯუბაძემ, ს.-დ. ჩიტო შარაშიძემ, ს.-ფედ. კოწია გამსახურდიამ, ს.-დ. რაფ. ჩიხლაძემ. კიევს ქართველთა წარმომადგენელმა კვა ჩხეიძემ. ამ უკანასკნელმა აუწყო ხალხს, რომ მალე ტფილისში ჩამოვა 13 ათასი ქართველიო. ილაპარაკეს ქრ. რაჭველიშვილმა, ძ. საყვარელიძემ, ეკაკი პაპავამ, შალვა ნუცუბიძემ, ვარლამ ბურჯანაძემ წაიკითხა მაჰმადიან ქართველთა მოწოდება ქრისტიან ქართველ მოძმეებისადმი. სადაც პირველნი ერთგულების ფიცსა სდებენ.

✦ **კათალიკოსის ავადმყოფობა.** 21 თებერვალს უკეთესობა დაეტყო. კუნთები თითოლამ გაუარა. სისუსტესა გრძნობს მარცხენა მხარის. ტემპერატურა 37,1. მაჯის ცემა 96, სუნთქვა 20. მდგომარეობა ჯერ კიდევ სერიოზულია.

✦ **ხავარჯიშო საზოგადოება** „შევარდენი" მართავს გიმნასტიურ მუსიკალურ საღამოს, ქართულ კლუბში 6 მარტს.

✦ **თავდასხმა.** ექიმ ხოჯაპარუხოვის სახლთან 21 თებერვალს 3 საათზე, მოვიდა 6 შეიარაღებული კაცი. 4 დარჩა ალაყაფის კარებთან და 2 შევიდა ეზოში, მახურმა გაუღო მათ კარი, მაგრამ რევოლვერი გაისროლეს თუ არა შევარდა სახლში და მოახსენა ხოჯაპარუხოვს, ყაჩაღები დაგვეცნენო. შეატყობინეს მილიციას, და ყაჩაღები ვერას გახდნენ ისე გაიფანტნენ.

✦ **სასურსათო მაღაზიის გაძარცვა.** 18 თებერვალს ღამით ნიკოლოზის ქუჩაზე № 3 სასურსათო მაღაზიის უფროსს ს. ალტინიკოვს და მის ამხანაგს ვ. პოპოვს დაეცა 3 შეიარაღებული კაცი ს. ალტინიკოვს წაართვეს 4500 მან. თავისი და მაღაზიის ფული აგრეთვე რევოლვერი ქოლტის სისტემის.

✦ **ხურხათი.** გომიდან 21 თებერვალს მიიღეს 2 ვაგონი ფქვილი.

✦ **დალაქიშვილის მკვლელობის შესახებ.** როგორც დოკუმენტებით დამტკიცდა დალაქიშვილი მოკლულია სპეკულიანტების მიერ. დღეს 2 საათზე ტფილისის სადგურზე მოასვენებენ ცხედარს. აქედან მცხეთაში წავიდნენ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრები.

# სოფლად და ქალაქად

### ქ. ახალ-სენაკი.

✦ როგორც გაზეთებში, აღნიშნული იყო დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის აბაშის ფილიალურ განყოფილებასთან არსებულ სამხანაგო სასამართლომ გაარჩია, ახალ-სენაკის ნორმალურ სასწავლებლის სიდამხედველის სპირიდონ ენუქიძის საწინააღმდეგოთ შემოსული საჩივრები 12 ოქტომბერს 1917 წ. და ერთხმად დაადგინა: დაუყონებლივ გადაყენებულ იქნას სამსახურიდან ს. ენუქიძე, როგორც ფლირსი მასწავლებელი და აგრეთვე გამორიცხულ იქმნას მასწავლებელთა კავშირიდან. ამ დადგენილებას ის არ დაემორჩილა და საქმე გადაიტანა საგუბერნიო სამხანაგო სასამართლოში ალბად ფიქრობდა იქ საქმის მოგვარებას, მაგრამ ამაოდ. 1918 წ. იანვრის ბოლო რიცხვებში საგუბერნიო სასამართლომ დაადასტურა აბაშის დადგენილება.

✦ ადგილობრივ პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლობას კიდევ დეკემბრის 1917 წ. პირველ რიცხვებში შეუტანიათ ქალაქის თვითმართველობაში თხოვნა, რათა მას გაეწია ყოველ თვიური დახმარება დამატებითი ჯამაგირების სახით, როგორც ეს ხდება სხვა ქალაქებში, დღევანდელი აუტანელი პირობების გამო. მაგრამ სამწუხაროდ აქაურ ქალაქის თვითმართველობის გამგეობა აღმოჩნდა იმდენად „დემოკრატიული" რომ ეს მასწავლებელთა საბრალოთ მოთხოვნილება შეუნახავთ ძველთ სანახავში და დღესაც, როდესაც წლის აგერ მესამე თვე კიდევ არ არის განხილული. რა არის ამის ჩიხები? მასწავლებელობლებას არარად ჩაგდება და აბუჩად აგდება. ასეთი საქციელისათვის იმ მასწავლებლებმა ქალაქის გამგეობას შესაფერისი პასუხი უნდა მოსთხოვოს.

# არეულობა ამიერკავკასიაში

განჯიდან ალ. ხასმაყლოვი ატყობინებს: „ევლახიდან ჩამოსულ ყალაბეგოვის გადმოცემით, რომელიც ევლახში იყო გაგზავნილი, საზარელი ამბავი დატრიალდა. მშვიდობიანი მუსულმანები სოფ ევლახისა და კარხუსისა სოფლებით უმიზეზოდ ცეცხლში იქმნენ გახვეული და განადგურებული. გახვრეტილი ძოვილია. დახოცილი და დაჭრილი ასობითაა. მცხოვრებლები ძალიან აღელვებული არიან. ეშელონების გაშვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველა მოითხოვს, რომ ეშელონები არ იქმნან გაშვებული.

—

იქიდანვე 21 თებერვლის თარიღით ხასმამედოვი ასლანოვს ატყობინებს: „გთხოვთ გამოგზავნოთ ჯავშნიანი მატარებელი. ძალიან გვესაჭიროება.

**ერევნიდან** 21 თებერვალს შინაგან საქმეთა კომისარს დეპეშით ატყობინებენ ეროვნულ რაზმის უფროსი პიროუმოვი. სისტემატიური დაცემა თათრებისა მიმავალ ეშელონებზე მიუხედავად საზავო მოლაპარაკებისა არ წყდება. ყაჩაღები არღვევენ და ცარცვავენ სადგურებს, სასურსათო საწყობებს, სპოიენ ხიდებს, ტელეგრაფის მავთულებს. ამგვარად ქალაქი და გუბერნია მოწყვეტილია ძველ ქსოფლიოს. შიშის ზარს სცემს ყველაფერი ეს უმეტესად რუს-მცხოვრებლებს, რომელნიც სტოვებენ მთელ თავის ქონებას და მიდიან კავკასიის საზღვრებიდან. 16 თებერვალს თათრები დაეცნენ მამავალს ქამარლუში ეშელონს. ამ შემთხვევის გამო გაგზავნილ იქმნა თათრებთან დელეგაცია, რომელიც შესდგებოდა მაჰმადიანებისა და სომხებიდან. მაგრამ დელეგაცია ვერ მივიდა დანიშნულ ადგილს, რადგან მას თათრებმა სროლა დაუწყეს და ამის გამო დელეგაცია დაბრუნდა ერევანში.

**ერევნიდან** 21 თებერვალს კომისარი ტერონსიანი ამიერ-კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს, რომ 31 თებერვალს დილით სროლა იყო, რომელიც მალე შეწყდა. დილის 11 საათზე იყო დანიშნული კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: პოლკოვნიკი პიროუმოვი, წარმომადგენლებმა მაჰმადიანთა, სომეხთა და რუსთა, საბჭოების, სომეხთა და მაჰმადიანთა სასულიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, ჯარის კაცთა და გლეხთა საბჭოს წარმომადგენლები და ქალაქის თავი. სხდომამ ერთხმად გადაწყვიტა ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადოს. დაარსოს სამხედრო სასამართლო ჯარისთვის და ქალაქის მცხოვრებთათვის უნდა შესდგეს 7 პირისაგან, უნდა შევიდეს 3 სომეხი, 3 მაჰმადიანი და ერთი რუსი, რუსების ეროვნულ საბჭოდან. სხდომის დასასრულს მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭომ განაცხადა, რომ ზოგ ადგილებში მათ ვერ შესძლეს თათარ ყაჩაღების შეჩერება და ამისათვის მოითხოვეს დახმარება სომეხთა სამხედრო ნაწილებისაგან.

გადაწყვეტილია სამხედრო ნაწილების გადაყვანა. წინასწარ აგზავნიან თათრებთან მაჰმადიანთა დელეგაციას მოსარიგებლად, რათა სთხოვენ გახსნან გზები და დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. იმ შემთხვევაში თუ თათრები არ დამორჩილდნენ მაშინ უნდა იმოქმედონ მათზე იარაღის საშუალებით. ეხლა დილის 8 საათიდან ქალაქში სიწყნარეა. ღამით სომხები თავის ნაწილებში იცავდნენ მუსულმანებს ასევე იქცეოდნენ მუსულმანები: თავის უბნებში იცავდნენ სომხებს. დილით კი მოხდა შერიგება: მუსულმანებში და სომხებში გაანთავისუფლეს დაჭერილი სომხები და მუსულმანები ამ გზით იმედი გვაქვს, რომ საქმე კეთილად დასრულდება.

# სპეტაკი ადამიანი

არა ჩვეულებრივი პიროვნება იყო ქართველთა შორის ასე უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპული გოგლა დალაქიშვილი. საკმარისი იყო რამდენჯერმე გენახათ, დალაპარაკებოდით, მისი საქმიანობა გაგეცნოთ, რომ განცვიფრებულიყავით: საიდან აქვს ამ ადამიანს ამდენი ტექტი, ასეთი სისპეტაკე სულისა, ამდენი ენერგია, ამდენი კაცთმოყვარეობა, ამდენი ბუნებრივი გონიერებაო?!

ათი-თერთმეტი წლისა დაობლებულა გიორგი და მას შემდეგ ვით ზღვას პატარა ნავი, იგი ცხოვრების ზღვის ტალღებს მარტოხელი ებრძოდა, შესაძლებელია მისი პიროვნების სიდიადე სწორედ ამ ნიადაგზე გამოიზარდა.

გიორგის პიროვნებაში იყო ყოველივე დადებითი ქართველის ბუნებისა და იგი თავისუფალი იყო მისივე ცუდი მხარეებისაგან. იგი ნამდვილი ევროპიელი იყო ზრდილი და თავმდაბალი, ყველასთან ერთგვარი; ყველასთვის მზად ქონდა მას თავაზიანი სიტყვა, არავის წინაშე არ ივადრებოდა იგი პირმოთნეობას, არასოდეს უღალატნია მას თავისი სინდისისა და რწმენისათვის.

გიორგი პირდაპირ ხალხის გულიდან იყო გამოსული და ამ საშინელ უკანასკნელ წამამდე თითონ იკაფავდა ცხოვრების გზას. არსებობისათვის ბრძოლამ მას ვერ ჩაუხშო აღმაფრენის უკვდავი გრძნობა, იგი სულ მუდამ წინ მიიწევდა, თითონვე ეზიდებოდა მოწაფეობის ატესტატისათვის და შესძლო კიდეც. გიორგი ამითაც არ დაკმაყოფილდა, იგი გაემგზავრა ნოვო ალექსანდრიის აგრონომიულ ინსტიტუტში და პროფესორთა ყურადღება ისე მიიქცია, რომ სთხოვდნენ ინსტიტუტში დარჩენას, მაგრამ მან არ ინდომა: ჩემს სამშობლოში უნდა დავბრუნდე და იქ უნდა ვიმუშავოო.

და მუშაობდა კიდეც, მუშაობდა თავდავიწყებით, პატიოსნად, უანგაროდ. რამდენჯერ მისულა იგი სასოწარკვეთამდე, როდესაც ითვალისწინებდა ჩვენს უმწეო მდგომარეობას და მართლაც გიორგის ნებისს სიმტკიცე და მისებური ხალხის სიყვარული უნდა ქონოდა ადამიანს, რომ ფრთები არ ჩამოსტყდომოდა, ხელი არ ჩაექნია და თავი არ დაენებებინა მუშაობისათვის. მაგრამ გოგლა ასეთი ბუნების არ იყო, მისი ენერგია უფრო და უფრო იზრდებოდა და განაგრძობდა ხალხის სამსახურს.

გოგლა პარტიულად არ იყო შებოჭილი. მას ხშირად უთქვამს ჩვენთვის, თავის მეგობრებისთვის: რა დროს პარტიული მუშაობაა, ხალხს პური არა აქვს და ხვალ თუ ზეგ შიმშილი გავგვანადგურებსო. ასეთი იყო გოგლა, გულწრფელი და თავდადებული ქართველი მამულიშვილი, რომლის მსგავსი ძლიერ ცოტა მოიძებნება ჩვენს ღარიბს ეროვნულს ასპარეზზე.

გოგლა კარგად გრძნობდა, რომ ბევრი საფრთხე მოელოდა ამ არეულს დროს, მაგრამ იგი ერთს წამსაც უკან არ დამდგარა, მხოლოდ თავის ძვირფას ცოლშვილს თურმე აბარებდა ნათესავ მეგობრებს: თქვენ იცით თუ არ დამიჩაგრავთ, თქვენ იცით თუ ხელს შეუწყობთო.

განისვენე მშვიდად ძმაო და მეგობარო გოგლა! მიუხედავად შენი ახალგაზრდობისა შენ უკვე სავსებით მოიხადე მშობელი ხალხის წინაშე შენი ვალი და იგი ეცდება შენს წინაშეც მოიხადოს თვისი ვალიცა.

ს. დ.

# სოხუმის ამბები

შინაგან საქმეთა კომისარი 21 თებერვლის თარიღით ატყობინებს ბათომში დეპუტატთა საბჭოს:

„სოხუმში შეტაკება მოხდა ოფიცერ ემუხვარსა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა შორის იმის გამო რომ უკანასკნელებმა პაგონების ჩამოგლეჯა მოუნდომეს ოფიცერს. ამის გამო მეზღვაურებმა სროლა აუტეხეს სოხუმს და დიდი ზიანიც მიაყენეს მას. ხალხი დიდ შიშშია. კავშირი დავიკავეთ ფლოტის კამენდანტთან და ვთხოვეთ მიიღოს საჭირო ზომები საზარელ ამბების თავიდან ასაცილებლად. გთხოვთ გამოგზავნოთ სოხუმს საბჭოს ერთი წევრი, რომ მორალური გავლენა იქონიოს მეზღვაურებზე, თუ კიდევ რამე განხეთქილება ჩამოვარდა მათსა და მცხოვრებლებ შორის და რათა საჭირო ზომები მიიღონ კონფლიქტის სალიკვიდაციოდ".

—

შინაგან საქმეთა კომისარმა სევასტოპოლშიც გაგზავნა დეპეშა სოხუმიდან:

„შავი ზღვის ფლოტიდან ყუმბარები დაუშინეს სოხუმს და დააზიანეს წითელ ჯვრის დაზარეთი და რამდენიმე შენობა. ამის მიზეზი იყო შეტაკება მეზღვაურებსა და ემუხვარს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ემუხვარი მეზღვაურებს გადასცეს, ისინი არ დაკმაყოფილდნენ ამით და მშვიდობიან, დახმარებას მოკლებულ მცხოვრებლებს დაუწყეს სროლა. გთხოვთ ყოველი ზომა მიიღოთ და თავიდან აიცილოთ შავი ზღვის სანაპიროების გაუმაგრებელ პუნქტებს. ის შედეგები რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ სროლას და საზარელ ამბავს. მეზღვაურთა ასეთი მოქმედება წარუხოცელი, სამარცხვო საქმეა რევოლიუციისათვის, და ყოვლად შეუძლებელია მოვითმინოთ ეს ისეთ საშინელ და პასუხსაგებ მომენტში, როდესაც უიარაღო კავკასია ოსმალეთი და მათ მოკავშირეთა შემოსევის წინა სდგას.

# მოქალაქეთა საყურადღებოდ

ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზია (უწინ ეპარქიალური სასწავლებელი) ისეთი სასწავლებელია, სადაც ჩვენი დედა-ენა ზედმიწევნით ისწავლებოდა მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი ძველი წესწყობილების წყალობით ყველა სასწავლებლიდან იყო განდევნილი. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ დღიდან ნაციონალიზაციის გამოცხადებისა, ამ სასწავლებლის ყველა კლასებში სწავლება სწარმოებს სამშობლო ენაზედ.

ეს ის სასწავლებელია, სადაც სწავლობენ მომეტებულ ნაწილად ღარიბი დედ-მამის შვილები (სულ ქართველები). და თუ ამ მიზეზით მას იმ დროსაც კი ესაჭიროებოდა ჩვენი ქველმოქმედთა დახმარება, როდესაც ცხოვრება, ცოტად თუ ბევრად ნორმალურ პირობებში მიდიოდა, მით უმეტეს დღევანდელ აუტანელ ცხოვრების პირობებში არის საჭირო.

თუ ჩვენმა საზოგადოებამ საჩქაროდ არ აღმოუჩინა ამ სასწავლებლის შესაფერი ნივთიერი დახმარება, მრავალი მოწაფე სიმშილისა, სიცივისა და სწავლის ფულის უქონლობისა გამო იძულებული იქნება მიატოვოს სასწავლებელი. ეს მოვლენა კი მოაკლებს ჩვენს სამშობლოს ბევრს ნამდვილს ქართულ ნიადაგზედ კეთილ გონივრულად აღზრდილ დედას.

აღნიშნული სასწავლებლის ახლად დაარსებული მშობელთა წრის საბჭო ამ მოვლენას, რასაკვირველია, გულგრილად ვერ შეხედავდა და გადაწყვიტა მოწყალებით მოგმართოთ ყველა ქველმოქმედთ უმორჩილესის თხოვნით, რათა კეთილი ინებოთ და გამოიღოთ ამ სასწავლებლის მოწაფეთა სასარგებლოდ თქვენი წვლილი, რაიცა მშობელთა წრის საბჭოს მიერ დიდის მადლობით იქნება მიღებული და თავის დროზედ რომელიმე ქართულ გაზეთში გამოცხადებული.

ამ შემოწირული ფულით საბჭოს აზრად აქვს: ღარიბი მოწაფეები გაანთავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან, ულარიბესთ დაუნიშნოს სტიპენდია, დაეხმაროს ტანისამოსით, წიგნებით, სასწავლებელში მოაწყოს ბიბლიოთეკა და სხვა,

აღნიშნულს გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის მდივანი თედო თურქაძე.

# სროლა თელავში.

ვერც თელავი გადარჩა ძმათა სისხლის ღვრას.

18 თებერვალს, საღამოს 4 ნახევარ საათზე, კომისარიატის ახლოს მილიციონერებსა და აქ მდგომ მე-8 ქართულ პოლკის ჯარისკაცებს შორის მოხდა დიდი სროლა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. ჯარისკაცნი ითით მის ყველა მხრიდან გარს შემოერტყნენ კომისარიატს, მილიციონერები თავის მხრივ კომისარიატის წინ ქალაქის ეზოში გალავანში იყვნენ გამაგრებულნი. ასტყდა საშინელი სროლა ორივე მხრივ. კაცს ეგონებოდა — მშვიდობიანი თელავი ბრძოლის ველად გადაქცეულა. ამავე დროს ის როცა... [illegible]

... [illegible] ორია მოკლული და თითო დაჭრილიო. საბედნიეროდ, შემთხვევით ვლილი ან ახლომახლო სახლ... მყოფნი, სადაც ტყვია მოხვდა, არ... დაშავებულა. მთელი ქალაქი შე... ზარმა მოიცვა. საღამოთი ქუჩებში... ჭანება აღარავისა, ეშინიათ ... არ განმეორდეს ძმათა სისხლის... მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ჯე... ჯერობით ვერ გავიგეთ. მთელი ღამ... მცხოვრებთ შიშში გაატარეს. შეგნე... ბულ ჯარისკაცების იმედია რომ აღარ განმეორდება ეს სამწუხარო ამბავი. 19 თებერვალს დილით ჯერჯერობით მშვიდობიანობაა.

19-ში, დილით, ამოვიდნენ მე-8 ქართულ პოლკის ჯარისკაცნი და რაც იარაღი იყო კომისარიატში, სულ გაიტანეს ყაზარმებში.

მცხოვრებნი ძლიერ შეშინებულნი არიან, კომისარიატი არაა, აღარც მილიციონერები არიან, ქალაქი ისეა დატოვებული. 2 საათზე ქალაქის საბჭოში მოხდა ხმოსანთა, არსებულ პოლიტიკურ პარტიების და ჯარისკაცთა და მათი უფროსების კრება. გარეშე ხალხიც ბევრი დაესწრო.

ჯარისკაცთა და უფროსების ... პაოკევიდან აღმოჩნდა, რომ ... პოლკი დაახლოვებით მოითხოვ... ქალაქში მილიციონერები აღარ ... ვნენ, რადგანაც ისინი ჯამაგირი... არიან, მაშინ, როცა თელავში ჯარის... კაცები იმყოფებიან და მათ უსასყიდ... ლოდ შეუძლიათ წესრიგის დაცვ... ე. ი. მილიციონერების მაგიერობის გაწევა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ხმის უმრავლესობით გადასწყვიტა ქალაქში წესიერების დაცვა გადაეცეს მე 8 ქართულ პოლკს, ხოლო ქალაქის კომისრად ერთს თვით პოლკი აირჩევს, ხოლო მეორე კომისარს — ქალაქის საბჭო.

# ძალით გასოციალისტებულ ჩინოვნიკები

16 თებერვლის „კავკაზკოე სლოვო"-ს № 37-ში მოთავსებულია უცნაური რეზოლიუცია ხნისისა და არზრუმის ოლქების სამხედრო მოხელეებისა ქ. რუსის ჩინოვნიკებისა. რეზოლიუციას აქვს ასეთი შინაარსი: 1918 წ. თებერვლის 11 დღეს ჩვენ ქვემორე... ხელის მომწერნი ხნისის და არზრუ... მის ოლქების სამდმინისტრაციო მოხ... ლენი, რომლებიც ვიმყოფებით ად... ლებზედ და იძულებულნი ვართ ... ქვემოთ ... პირობების ... ფრონტებიდან ჯარების წასვლის... თო, საერთო კრებაზედ ... მსჯელობაში: 2) რომ ოსმალ... სობითში დაიწყო ეროვნული ... გამოკვევა, რის გამოც იქ და... რუსის სამხედრო ადმინისტრაცი... რუსის ჯარების ფრონტიდან წას... შემდეგ, ... 3) რომ ნაცვლად... სეული რუსის ადმინისტრატიულ... წესდებულებისა იქ შექმნილია ... ლობითი ნაციონალური საბჭოებ... რომ საბჭოების ნაციონალური ნია... ზედ შებლა-შემობლა ცხადად უ... ხელს ... წესიერების დაცვ... ბაა, რითაც შეუძლებელი ხდებ... რუსის ადმინისტრაცია დარჩენ... 4) რომ არსებული დროებითი მმა... ველობა თავისი აფარებული შტ... ბით მხოლოდ უნაყოფოდ ფლანგ... აფარებულს სახაზინო ფულს, და... გინეთ: ვთხოვოთ უმაღლეს მთავრო... (იგულისხმება ამიერკავკასიის კომის... რიატი) რათა დაიშალოს ეს სამმარ... ველო შტაბი და ყოველივე საქმე ... ბილოს ადგილობრივ ნაციონალურ ს... ბჭოებსო. ხელს აწერს 37 კაცი.

საგულისხმოა ის გარემოება, ... როდის გახდა ეს ხალხი ასეთის ნა... თვისებებისა, რომ ნაციონალურს პრი... ციპებს ასე ფრთხილად ეპყრობიან... რომ ნაციონალურ პრინციპების ზრ... არ შეუშალონ ხელი და ვითომდა ... გზხნეს კონტრ-რევოლიუციონერებ... თითონ ... ჩვენ თქვენს პრინციპებს არ ვე... ნააღმდეგებით და აქ სამსახურს თავ... ვანებებთო და ვითხოვთ — შტაბის და... ლასაც, რომ სახაზინო ქონება უამ... გოდ არ დაიფლანგოსო.

რეზოლიუციის კილო მკითხველებ... ადვილად შეიყვანს შეცდომაში. მაგ... რომ მოკლედ განვიხილოთ, თუ რა სა... ბუთები აღმოაჩნდებათ ამ დევ-გმი... რებს.

საქმე შეეხება შემდეგს, როცა რუ... სის ჯარებმა ოსმალეთში ადგილები... დაიპყრო, დაიბადა საკითხი, თუ ვის უნდა გაეწია პირისუფლება აღნიშნულ მხარეების მშვიდობიან მცხოვრებთათვის. ამ მიზნით 1916 წ. 2 ივლისს ტფილისში დაარსდა ცალკე სამმართველო, მას მოჰყვა აფარებული შტატები, სადაც ბევრმა ინვალიდმა და უკეთ რომ ვსთქვათ „დეზერტირებმა" თბილ-თბილი ადგილები დაიკავეს. ასე გასინჯეთ, რომ არ დარჩენილა რუსეთში ნასახური „ოკოლოდოჩნიკი" და „გოროდოვოი" რომ აქ მაღალ ადგილზედ არ მოკალათებულიყოს ჩი...

კვა, რომ ცნობები გადაჭარბებული იყო, თუმცა ზოგიერთ ადგილებში ადგილი ჰქონდა მუქარას. მივედით ხართვისამდე, ახალქალაქის მაზრაში და იქ მშვიდობიანი მუსულმანები შეგხვდნენ, რომელთაც გვთხოვეს მისულიყავით სარომდე, საიდანაც სხვა სოფლებს ესვრიან. უკან დაბრუნებინებისას, როდესაც ჩვენ საროსთან გაჩერებას ვაპირებდით, ჩვენ ავტომობილს სროლა აუტეხეს. ჩვენ შევჩერდით და დავინახეთ მთვრალი ჯარის-კაცები, ქართველები და სომხები, რომელნიც გვემუქრებოდნენ. ჩვენ დავამშვიდეთ ისინი და განვაგრძეთ გზა. ადგილიდან დაძვრაც ვერ მოვასწარით რომ ორივე მხარიდან სროლა აგვიტეხეს. ჩვენ თავი შევაფარეთ კლდეებს; ჯარისკაცებმა ალყა შემოგვარტყეს და სარასაკენ წაგვიყვანეს ისინი ახალციხიდან იყვნენ გამოქცეულნი. თვით სოფელი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, სადაც ახალქალაქის მაზრიდან 2,000 ჯარის-კაცია, ქართველი და განსაკუთრებით სომეხი. მათ გვითხრეს, რომ ახალქალაქიდან არტილერიას მოელიან და 10 საათის განმავლობაში ყველა მუსულმანს ამოსწყვეტენ. დამთვრალი ბრბო ფიქრობდა, თუ როგორ მოგვქცეოდა ჩვენ: დავეხვრიტეთ, თუ დავეტუსაღებინეთ. შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ ჩვენ თავისუფალი ვართ. როგორც ხედავთ მდგომარეობა სერიოზულია და ჩვენ დაღუპვა მოგველის.

—

ახალციხიდანვე პირდაპირი მავთულით იტყობინებიან: დღეს შედარებით სიწყნარეა, თვითნებურად წასული ჯარისკაცები დაბრუნდნენ, ნაწილი ბრუნდება. მე პორუჩიკი ინასარიძე გავგზავნე სოფლებში, რომელთაც გარს მუსულმანები არტყია, მუსულმანებთან შეტაკება და სროლა იყო ამაზე ადრე მილიციის უფროსი გაიგზავნა, რომელსაც შეტაკება ჰქონდა ყაჩაღებთან. ორი მოკლულია, შვიდი დააკავეს. ყოველი ღონეა ნახმარი წესიერების აღსადგენად. მიღებულია ზომები იმ ჯარის-კაცების წინააღმდეგ, რომელნიც ქართულ სოფლებში არიან დაბინავებულნი სოფლების დასაცავად. დიდი დახმარება გაგვიწია აწყურის რაიონმა, რომელიც ჩემი თხოვნით გამოვიდა ყაჩაღების დასატუსაღებლად. მუდამ შეიარაღებული ძალით დავდივარ.

მაღლაკელიძე.

## ფოთის ქალაქის საბჭო.

როგორც სხვა ქალაქებში, აქაც გულგრილობა და სიზანტე დაეტყოთ ხმოსნებს. კრებას არ ესწრება ნახევარი საერთო რიცხვი ხმოსნებისა. ქალაქის თავიც კი დეზერტირად გადაიქცა და იშვიათად ნახავთ კრებაზე. საქმე კი ბევრია გასაკეთებელი.

ქალაქის მდგომარეობა ამ ბოლო დროს ძალზე გართულებულია. საერთო ქვეყნის-გოდების გარდა ცხოვრების სიძვირის ზედ ერთვის კიდევ შინაური უწესრიგობა, არევ-დარევა, აწიოკება. მცხოვრებთ და განსაკუთრებით კი მოწინავე ელემენტებს (ვგულისხმობ ს.-დემ.) არ ემჩნევათ პროგრესისაკენ სვლა. ქალაქი ფოთი, რომელმაც ერთგვარი ისტორიული როლი უნდა ითამაშოს საქართველოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში, თითქმის ძალზე მიყუჩებულია. ქალაქის მამები ნაკლებად ზრუნავენ მის ასაყვავებლად. ქალაქის საბჭოში ისმის მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი უშინაარსო ფრაზები. ხმოსნებმა პროექტების ოკეანეს გაუტეხლია და თავს იქცევენ ოქმების წერით. ხოლო თვალსაჩინო პრაქტიკული ნაბიჯები მათი ექვსი თვის „მოღვაწეობაში" ჯერ არ გვინახავს. მე არ ს ვიტყვი იმ დაპირებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქის ახალი საბჭოს არჩევნების დროს; მხოლოდ ოდნავ მაინც არ შეიძლება არ მივუთითო იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე გადადგმაზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოეხდარიყო დღევანდელ უკუღმართ პირობებში. ეს გახლავთ განათების, ქუჩების, ხიდის, განაპირა უბნების და სხვა საკითხები. სამარისებური სიჩუმეს საზარელი სიბნელეც ერთვის, და ქალაქი, წყვდიადში გახვეული, საშინელ სურათს წარმოადგენს.

არა ნაკლებ საშინელებას წარმოადგენს ქუჩების ოღრო-ჩოღრული მდგომარეობა. კმარა ერთი საათის განუწყვეტელი წვიმა, რომ ჭაობიანი ქუჩები ნავებით სავლელ ადგილად გადაიქცეს და მიმოსვლა შეწყდეს. მაშასადამე, ქუჩებს, სჭირია როგორც შეკეთება, აგრეთვე არხების გაყვანა.

განსაკუთრებით ასეთ უკუღმართ მდგომარეობაში იმყოფება განაპირა უბნები, ახალსოფელი და ს. ნაბადა. ამ განაპირა უბნებისათვის ქალაქის საბჭოს და ღვთის მიერ დალოცვილ ხმოსნებს არც უზრუნიათ და არც მიუქცევია სერიოზული ყურადღება, მცხოვრებლები კი უფსკრულის კარამდეა მისული. არა ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს ნავთსადგურის და დიდი კუნძულის ხიდის შესწორება. აი უმთავრესი საკითხები ჩემის აზრით, რომლის მოწესრიგებაზე უნდა ზრუნავდეს თითეული ხმოსანი თუ უნდათ დაიმსახურონ ნდობა და სიყვარული. სწორედ ეხლა არის საჭირო გამოიჩინოთ ხმოსნებმა საქმიანობა და ქალაქის ბედ-იღბალი, წარამარა დაჩენილი, ააყვავონ. რასაკვირველია აქ საჭიროა ერთსულოვნობა და არა პარტიული ჯიბრიანობა და ფრაქციულად დანაწილება.

რას აკეთებს დღეს ქალაქის საბჭო? რომ ამ კითხვას პასუხი გავცეთ, ხაკმარისია თვალი გადავავლოთ 9 თებერვალს მომხდარ კრებას. კრება გაიხსნა სრულ 7 საათზე (რაც იშვიათია) და ძლივს-და 18 ხმოსანი დაესწრო: თავმჯდომარეობს გ. ჩიტია. ჩვეულებისამებრ წინანდელ კრების ოქმს კითხულობს მდივანი ლ. კილურაძე. ოქმი მეტად შინაარსიანი (ფორმით) და კონტადაა დაწერილი. მდივანს ეტყობა, ოქმის წერაში გაწვრთნილა: სიტყვა სიტყვაზე ყველა ხმოსნების აზრიანი და უაზრო ნალაპარაკევი შეუტანია ოქმში. ამის შემდეგ ხმოსნებს შემოაქვთ განცხადებები და ბოლოს გადადიან მორიგ საკითხების განხილვაზე.

ცხარე კამათი საკითხებს არ გამოუწვევია და მოგეხსენებათ, თუ რატომ: სოც.-დემოკრ. (მენშევ.) ფრაქციის წინასწარ აქვს გადაწყვეტილი საკითხები, ხოლო კრებას ფორმალური ხასიათი აქვს. დანარჩენი ფრაქციის წარმომადგენელნი თავმჯდომარის შეკითხვაზე: „ამტკიცებთ კომისიის დადგენილებას თუ არა"—იძულებული არიან: „ვამტკიცებთ"-ო! სულ ერთია: რომ არ დაამტკიცონ, მაინც ვერაფერს გახდებიან, რადგან უმრავლესობას სოც.-დემ. წარმოადგენენ და ძალა-უფლება მათ ხელშია...

თავმჯდომარე კითხულობს ხმოსან გ. საბახტარაშვილის განცხადებას— ხმოსნობიდან განთავისუფლებისას ავათმყოფობის გამო. კრებამ დაადგინა ეთხოვოს მას, დარჩეს თავის თანამდებობაზე.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს მორიგ კითხვებს. მოხსენებებს აკეთებს ქალაქის თავის თანაშემწე კორძაია.

გადაცემა სავაჭრო პორტის ქალ. თვითმართველობის ხელში. ამ საკითხზე კორძაია აღნიშნავს, რომ ეს კითხვა იყო აღძრული 1907 წ., მაგრამ დღემდის ვერ გადაწყვეტილა. ქალაქის თვითმართველობა მუდამ ზრუნავდა „პორტის" საკეთილდღეოდ, მაგრამ უკანასკნელს ქ. თვითმართველობისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. სხვა ქალაქებში „პორტის" საქმეები გადაცემულია ქალ. თვითმართველობის ხელში. ამისათვის ჩვენ უნდა ვიშუამდგომლოთ კომისარიატის წინაშე; მოსამსახურეები და გამგე ჩვენ უნდა დავნიშნოთ და სხ.

ხმოსნები მოხსენებას უკამათოდ ამტკიცებენ. პირველ რაიონის კომისარმა აქვს. მეგრელიძემ თავი თაანება თანამდებობას („ბოროტი ხმები" დაჟინებით ამბობენ, რომ აქვს. მეგრელიძე მექრთამეობის გამო გაიძევეს) და მის ადგილას დანიშნეს პოდპორუჩიკი ვანო ივანიძე.

ვეჭვობთ, მიუხედავად იმისა, რომ კრებამ დაადგინა: ყველა მეეტლემ ნიხრი თან უნდა იქონიოსო. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, გადაეცემა გასასამართლებლად რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

მშობელთა წრის შუამდგომლობა—ძველი გადასახადის დარჩენის შესახებ ქალაქის თვითმართველობამ არ სცნო კანონიერად და საჭიროდ და ხელმეორედ აღარ გაერჩევია.

კრებამ აგრეთვე აირჩია წარმომადგენელნი, ერთი პედაგოგიური საბჭოში (კორძაია) და ორი საოჯახო კომისიაში (ბოკუჩავა და სამხონაძე, რომელთაც არაფერი გაეგებათ ამ საქმის).

ამის შემდეგ კრება წყდება ხუთი წუთით, ვინაიდან სოც.-დემ. ფრაქციამ არ განიხილავს ახალი საკითხი— მილიციონერების ჯამაგირების მომატების. კრების განახლებისას სოც.-დემ. ფრაქციამ განაცხადა, რომ უმცროს მილიციონერებს მიემატოს 33% (მოთხოვნილება 50%) და მილიციის უფროს—15%.

მილიციის შტატის გადიდების შესახებ ქ. თვითმართველობამ დაადგინა: მიემატოს 15 მილიციონერი დროებით. კრება იხურება სრულ 10 საათ.

დარბაზში ისმის მილიციონერების უკმაყოფილება.

ალ. ზღვისპირელი.

## მოწერილი ამბები.

**სოფ. კაპრეთი** (სიღნაღის მაზრა). 25 წარსულ იანვარს მოხდა სოფ. კაპრეთის კოოპერატივის საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 146-215 წევრი, განიხილა კოოპერატივის დაარსებიდან 14 ი თვის, (ე. ი. 1916 წლის 11 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე 1918 წ.) მოქმედების ანგარიში (აღმოაჩნდა მოგება 2514 მ. 95 კ.) იქონიეს მსჯელობა და დაადგინეს შემდეგ: 500 მან. მიეცეს საჩუქრად გამგეობის თავმჯდომარეს მღვდელს გიორგი ბოჭორიძეს მისი დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობისთვის, 200 მანეთი გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს, 150 მან. საქართველოს ეროვნულ საბჭოს და 150 მან. საქათალიკოსო საბჭოს, რომელიც ეხლავე გადაეცა მ. გიორგი ბოჭორიძეს ხელში გადასაცემად კუთვნილებისამებრ და დანარჩენი ფულიდან ყოველივე წევრს მიეცეს კანონიერი სარგებელი და რაც დარჩება ნახევარი ჩაირიცხოს ძირითად თანხად და ნახევარი სათადარიგო თანხაში.

## შემოწირულება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემოწირულება შეკრებილი პორუჩიკ რომან ოქრომცვარიძის მიერ მე-17 მსროლელ კავკასიის პოლკის მე-20 როტის ოფიცერთა და ჯარის-კაცთა შორის ას ოც-და-ათი მანეთი და 50 კაპ. (130 მან. 50 კაპ.).

შემომწირველთა სია: პორუჩიკი რომან ოქრომცვარიძე, პოდპორუჩ. კოსტა ჭანიშვილი.

მსროლელი ჯარის-კაცები: კირილე ალხაზიშვილი, ლადო გოგისვანიძე, ვლადიმერ გორდაძე, სერგო ხუბეროვი, მაქრო ბერბიჭაშვილი, დავით ნაზაროვი, გრიშა ბურჯანაძე, მიხეილ ჩოჩია, ნიკოლოზ ცხადაია, კალისტრატე გუნავა, ვასო კობალაშვილი, ხარიტონ ვეფხვაძე, ბაგრატ ნაჟიროვი, დანიელ ფაცია, მიხეილ ბოკუჩავა, აბვერდოვი და პარმენ ვარეიშვილი.

### წერილი რედაქციის მიმართ

მიმდინარე წლის 3 თებერვლის „სახალხო საქმის" № 162 დაბეჭდილია წერილი ახალციხის ძველი ნაწილის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ, რომლითაც ბ. ძველად მცხეთელს გაუღლაშქრია სამკითხველოს გამგეობის წინააღმდეგ.

თუ ბ. ძველად მცხეთელს გული შესტკიოდა სამკითხველოსთვის, თამამად შეეძლო ეკითხა გამგეობის რომელ მე წევრისთვის და შეეტყო მიზეზი უკაზეთობისა და როცა დარწმუნდებოდა გამგეობის უძლურებაში, მაშინ გაელაშქრა გამგეობის წინააღმდეგ, რადგანაც ეს არ იცის და გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი უსაფუძვლო გულის წყრომა, აი ინებოს და გაზეთისავე საშუალებით შეიტყოს მიზეზი გაზეთების დაგვიანებისა. სამკითხველოს რამდენიმე წლისწადია, რაც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარი გამგეობა უწერდა ჟურნალ-გაზეთებს, ეხლაც დარწმუნებული ვიყავით, რომ წელსაც გამოუგზავნიდა, მით უმეტეს, რომ არ უცნობებია უარი გაზეთების გამოწერაზე. მიუხედავად ამისა სამკითხველოს გამგეობამ წარსულ 3 დეკემბრის თავის სხდომაზე დაადგინა და მიანდო მდივანს, რომ ის შეეკითხოდა წერილობით მთავარ გამგეობას გამოუწერდენ სამკითხველოს გაზეთებს თუ არა? რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სამკითხველოს ფულით გამოგვეწერა. ვიდრე მდივანი წერილს გაგზავნიდა გაიფიცნენ აქაური ფოსტის მეეტლეები, მათ შემდეგ გაიფიცნენ რკინის გზის ფოსტის მოხელეები. თუმცა წერილი გაიგზავნა, მაგრამ როდის მიაღწია ბინაზე ღმერთმა იცის: იმის შემდეგ მეორე წერილიც გაიგზავნა მაგრამ პასუხი დღესაც არა გვაქვს.

როცა ფოსტის მოძრაობა განახლდა და სამკითხველომ გაზეთები არ მიიღო, მაშინ დავრწმუნდით, რომ წელს გაზეთები აღარ გამოგვიწერა მთავარმა გამგეობამ, რის შემდეგაც საჩქარო ზომები იქმნა მიღებული გაზეთების გამოსაწერად. ბ. მეფისაშვილის ხელით გაიგზავნა ას სამოცი მანეთი (160) ტფილისში გაზეთების დასაკვეთად, საჩქაროთ მოგვაწოდა ყველა შეკვეთილი გაზეთები, რომლებიც უკვე მოსდის სამკითხველოს. ბ. ძველად მცხეთელი ტყვილად უკიჟინებს გამგეობას თუ ახალციხის ძველი ქალაქის ინტელიგენციის ნაწილი ყავახანებს უფრო თანაუგრძნობს ანუ წინააღმდეგია სამკითხველოსი, აქ რა შუაშია სამკითხველოს გამგეობა? შეუძლია (თუ თვით შეგნებულია) შეაგნებინოს იმ ახალგაზრდობას, რომ ყავახანებში სიარულს სამკითხველოში სიარული არჩიონ. ამასთანავე უდღეგრძელოთ მისტერის ბ. ბურჭულაძეს, ის 19 წელიწადია ახალციხიდან წავიდა, მაგრამ სამკითხველო მაინც არსებობს, თუმცა ახალციხის მკვიდრთ უღრმესი მადლობის მეტი არა ეთქმის რა ბატონი ბურჭულაძისადმი, რომელმაც დაარსა აქაური სამკითხველო, და არც დაივიწყებს მადლიერი ახალციხის ქართველობა მის ღვაწლს. სადა ბრძანდებოდა ბ. ძველად მცხეთელი 1904, 1905 და 1906 წლებში, როცა სამკითხველო უკიდურეს მდგომარეობაში სულსა ლაფავდა, შეუძლებელი იყო წარმოდგენების დადგმა, საწევრო ფულს არავინ იძლეოდა არსაიდან დახმარება არა ქონდა (იმ დროს ყველას თავისი თავი უჭირდა) რატომ არ კითხულობდა რა საშუალებით არსებობდა სამკითხველო? თუ ის გონია ეხლა, რომ ფული ოხრად არის? დღეს სამკითხველოს ბინის შესაძენად ხაზინაში აქვს 1007 მანეთი და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად სამას მანეთზე მეტი. ამით უნდა დარწმუნდეს ბ. ძველად მცხეთელი, რომ სამკითხველოს გამგეობას არა სძინავს და მუშაობს რამდენადაც ეს შესაძლებელია. გამგეობა არავის უშლის იმუშაოს სამკითხველოსთვის, პირიქით დიდის მადლობით მიიღებს სამკითხველოს ყველა გულ შემატკივარს.

რაც შეეხება სამკითხველოს ფეხზე კართოფილების შეწვას, ეს ჩემი აზრით სრულიად სიმართლეს მოკლებულია.

ხაზინადარი სამკითხველოსი როზა ალელიშვილისა.

გამომცემელი
სამხედრო ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
**კ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
**მ. ო. ზანდუკელი**
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხიოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, დ პარასკებს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
**ზ. გ. ნარიმანოვი**
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**კ. ტყეშელაშვილი**
მკურნალობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**ა. ლ. შალამბერიძე**
იღებს საშინაო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადაზ. საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$2^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 18—87 1009

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაველოვის ქუჩა, № 7. 2130

**საბუღალტრო კურსები**
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
**მ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
**ახალ ბინაზე**
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
**ნ. გ. მრევლიშვილი**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საშინაო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საშინაო საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

**ვასწავლით**
ქართულ სიმღერა-გალობას
და
ვამზადებთ მომღერალ მგალობლებს დიდ და მცირე სახალხო გუნდისათვის. მიიღება და ჩაწერა ძმ კაზბეგებთან (ქართულ ბანკში და ქალაქის გამგეობაში).
სწავლა-გვარჯიშობა: ჩვეულებრივ ნიკოლოზის ლიასი. სამშაბ. და პარასკეობ საღ. 5—8 ს. გამოცდილ მომღ.-მგალობლები მიიღებიან ჯამაგირით. 1077

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
**გ. გ. მუხრანოვი**
მიიღებს ავადმყოფებს—ფილტვის, კუჭის და გულისა. ახალს რენტგენ ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფიბანი. 1002

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმ ნავასარდიანის**
პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავადმყოფები—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილის. ავადმყ.)
ზ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს სტომატოლოგი ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიძისა. ტელეფ. 5 11. 1030

ძ. კაზბეგი.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
**მაჩაბელი**
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოსი.
სოლოლაკის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საშინაო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ. დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ.
უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე-3 სართ. 134

**„სახალხო საქმის"**
**რედაქციის კანტორაში**
**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I | 4 „ |
| გრძელი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა". | — 60 კ. |
| ჯაბაშვილი—„თამარ მეფე". | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო". | — 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი" | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14.